

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია დამოუკიდებელი სოციალურ-ეკოლოგიური მოძრაობა NESEHNUTÍ (ჩეხეთი)

და

ჟურნალისტთა ასოციაცია „პოსტფაქტუმი“ (საქართველო)

ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით

მართავენ დოკუმენტური ფილმების პრეზენტაცია-განხილვას.

ნაჩვენები იქნება **3 დოკუმენტური ფილმი:**



- **2011წ. 13 მაისს, 19:30** – „**სამხრეთ კავკასიის მტკივნეული ადგილები**“ (ჩეხეთი, 2009; რეჟ. – ჩეხი ჟურნალისტი *პეტრუშკა მუსტროვა*). – ფილმი შეეხება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს. ჩვენების დასასრულს გაიმართება დისკუსია ავტორთან, რომელიც, ამავე დროს, გახლავთ ჩეხური დისიდენტური მოძრაობის „ქარტია 77“ წევრი.



- **2011წ. 14 მაისს, 19:30** – „**აუტო * მატ**“ („Auto * mat“, ჩეხეთი, 2009; რეჟ. - *მარტინ მარეჩეკი*). – ემოციური და სახალისო დოკუმენტური ფილმი, რომელშიც რეჟისორი მ. მარეჩეკი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ცდილობს იპოვოს პასუხი მთელ რიგ კითხვებზე, რომელიც უჩნდება საავტომობილო მოძრაობით გადატვირთული ქალაქის მოსახლეობას. ფილმის ჩვენების შემდეგ დაგეგმილია დისკუსია ამ აქციების ერთ-ერთ აქტივისტთან.
- **2011წ. 15 მაისს, 17:30** – „**ფოკუსირებული ბირმაზე**“ – დოკუმენტურ ფილმში მოთხრობილია ჩვენს ცვალებად სამყაროში მას-მედიის როლის განმტკიცებაზე. დასასრულს, დისკუსია ექსპერტთან (რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას „ადამიანი გაჭირვებაში“ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კინოფესტივალს **One World**) ახალი მედიის საკითხებში.

დოკუმენტური ფილმების ჩვენება გაიმართება სასტუმროში „ბომონდგარდენი“.

მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის, 6; ვებ-გვერდი: www.bomondgarden.ge